ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკა

ბავშვებისთვის სტომატოლოგთან ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ისინი ყურადღებას აქცევენ გარემოს, პატარა პაციენტის ექიმთან პირველი შეხვედრა შემდგომში სტომატოლოგიურ კაბინეტში მათი ქცევის განმსაზღვრელი ხდება. ბავშვის სტომატოლოგთან პირველი ვიზიტი სასურველია, პირველი კბილის ამოჭრისთანავე დაიგეგმოს. სტომატოლოგი ბავშვს კბილის პასტას და ჯაგრისს შეურჩევს, მისცემს დანიშნულებას და შესაბამის რეკომენდაციებს. ადრეული ასაკიდან პრევენციული ღონისძიებების გატარება, თავიდან აგვაცილებს ზრდასრულ ასაკში კბილებთან და ღრძილებთან დაკავშირებულ დაავადებებს, როგორებიცაა კარიესი, პარადონტიტი და სხვა.

ახალქალაქელ ბავშვებს ამიერიდან შეუძლიათ ეწვიონ სტომატოლოგიურ კლინიკას, სადაც სასიამოვნო გარემო, პროფესიონალი ექიმები და თანამედროვე აპარატურა დახვდებათ.

“კაბინეტში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ბავშვი არ დაისტრესოს. გვაქვს სათამაშოები, ვჩუქნით საჩუქრებს. არის შემთხვევები, რომ დეტალურად ვუხსნით, თუ რა მანიპულაციები უნდა ჩავუტაროთ, ვაგუებთ ყველაფერთან და უშუალოდ პროცედურებისათვის მეორე დღეს ვიბარებთ. ბავშვის ფსიქიკა სათუთია და მას განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება. ისინი თითოეულ დეტალს აქცევენ ყურადღებას და ამით იქმნიან დამოკიდებულებას ექიმისა და ზოგადად კლინიკის მიმართ,” - ამბობს ექიმი-სტომატოლოგი ჰასმიკ მინასიანი.

პროექტის შედეგად დასაქმდა: 5 ადგილობრივი
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი: 35.750 ლარი
ევროკავშირის დაფინანსება: 19.338 ლარი
თანადაფინანსება: 55.088 ლარი

ახალქალაქელი ბავშვებისათვის სტომატოლოგიური კლინიკის გახსნა შესაძლებელი გახდა სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) ფინანსური მხარდაჭერით. გრანტის სახით მიღებული თანხით განხორციელდა სარემონტო სამუშაოები, შეიძინეს ორი სტომატოლოგიური სავარძელი სრული აღჭურვილობით და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელი სხვა ნივთები.

კლინიკაში დასაქმებულია სამი მედდა და ორი ექიმი. მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელება ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სამედიცინო სერვისების გაუმჯობესებას და ზოგადად, რეგიონის ეკონომიკურ წინსვლას.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

GIPA
In hoc signo vinces

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეეხნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეეხნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მერსი ქორფსი, ELVA საზოგადებრივი ჩართულობა და დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეეხნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი იყო სოფლის მეეხნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.

MERCY CORPS

West Cork DEVELOPMENT PARTNERSHIP

ELVA